სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი 01 ივლისი 2018 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის N 5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის
სხდომის ოქმი №01

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი;

ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების შესყიდვების ჯგუფის უფროსი;

ზურაბი ხეცურიანი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების შესყიდვების მენეჯერი;

ირინე სადრაძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი,

ირმა ოქროპირიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის იურისტი.

დღის წესრიგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;
2. ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის, სასტუმრო-საკონფერენციო მომსახურების (55110000 - სასტუმროში დაბინავების მომსახურება, 55120000 - სასტუმროში შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზების მომსახურება, 55130000 - სასტუმროსთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები) სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო კომისიამ იხელმძღვანელა ჩატარებული ფასთა გამოკითხვით და შესასყიდი მომსახურების სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა - 500000 (ხუთასი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს სატენდერო დოკუმენტაციითა და განცხადებით განსაზღვრული პირობების ირგვლივ.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

კომისიის თავმჯდომარე	დავით ხვედელიძე -
კომისიის წევრები:	ნიკო გიგოლაშვილი -
	ია ძებისაური -
კომისიის აპარატის წევრები:	ზურაბი ხეცურიანი -
	ირინე სადრაძე -
	ირმა ოქროპირიძე -